სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„----05--“---------10-------“ 2017 წელი

ეგზ. № 1

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტისა და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) - პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N44/36

2017 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 3

შესავალი ნაწილი 7

აუდიტის საგანი და სახეობა 7

აუდიტის მიზანი 7

აუდიტის მასშტაბი 8

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება 8

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 9

აუდიტორის პასუხისმგებლობა 9

აუდიტის ობიექტის აღწერა 9

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები 12

„საქონელი და მომსახურებიდან“ გაწეული ხარჯები 12

წარმომადგენლობითი ხარჯები 12

შესყიდული და გამოუყენებელი საპროექტო მომსახურება 13

საწვავის ხარჯი 14

საკრებულოს წევრების ხარჯები 16

იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 17

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციიის პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები 20

ყვარლის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქია 20

ხელშეკრულებების შესრულება და კონტროლი 29

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალმომარეგება და გამრიცხველიანობაზე გაწეული ხარჯი 33

გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები 35

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი 36

1. ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები 36

2. ძირითადი კაპიტალის მოხმარება 37

3. ინვენტარიზაცია 37

უარი მოსაზრების გამოთქმაზე 39

შიდა აუდიტი 39

წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები 41

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 41

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები 41

შემაჯამებელი მიმოხილვა

❯ 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შეადგინა 69.0 ათასი ლარი. აქედან, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მიერ სტუმრების გამასპინძლებისათვის სხვადასხვა რესტორნის მომსახურებაზე, 90 შემთხვევაში გახარჯულია 59.4 ათასი ლარი. ხარჯები გაწეულია თვეში საშუალოდ 3-4 ჯერ. სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის მიერ გამოცემულია ბრძანებები, სადაც არ არის აღნიშნული ჩასატარებელი ღონისძიებების დასახელება, სტუმრობის მიზანი, სტუმრების ოდენობა და სხვა მონაცემები. (გვ. 12)

❯ 2015 წელს შესყიდულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საავადმყოფოს შენობის კეთილმოწყობის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, ღირებულებით - 50.0 ათასი ლარი. პროექტის მიხედვით, საავადმყოფოს რეაბილიტაციისათვის საჭირო იყო 4.1 მილიონი ლარი. აღნიშნული სამუშაოები არ დაწყებულა, რადგან მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა შესაბამისი ფინანსები. ამდენად, 50.0 ათასი ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს არარაციონალურ ხარჯს. (გვ. 13)

❯ 2015-2016 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის 34 თანამშრომელზე გაცემულია 280.3 ათასი ლარის საწვავი. საწვავის გაცემის საფუძველს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები - ბრძანებები, საწვავის ხარჯვის ლიმიტების შესახებ. აღნიშნული ბრძანებები ადგენს საწვავის გაცემის მუდმივი და მრავალჯერადი გამოყენების წესს და თავისი შინაარსით წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს. კანონმდებლობით, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და გამგებელმა გამოსცეს ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემის უფლება არ გააჩნდათ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დადგენილების სახით. ამასთანავე, 2015 წელს დადგენილი ლიმიტების გარეშეა გაცემული 3.6 ათასი ლიტრის საწვავი, ღირებულებით - 5.8 ათასი ლარი. (გვ. 14)

❯ 2015-2016 წლებში საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს, თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ 94.7 ათასი ლარი. თანხები გაცემულია ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. (გვ. 16)

❯ 2015 წელს გამგეობის სხვა ხარჯებიდან ანაზღაურებულია მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელის განთავისუფლების საკომპესაციო თანხა 7.2 ათასი ლარი. 2014 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, თანამდებობიდან განთავისუფლდა გამგებელი, რომელმაც სასამართლოში გაასაჩივრა აღნიშნული სამართლებრივი აქტი. სასამართლომ გამგებლის განთავისუფლება უკანონოდ ცნო და მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დაავალა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გამგებლის თანამდებობიდან განთავისუფლების შედეგად, მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასწია გაუთვალისწინებელი 7.2 ათასი ლარის ხარჯი. (გვ. 17)

❯ სტიქიისაგან მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტმა 2015 წელს შეიძინა 920.4 ათასი ლარის ღირებულების 99.2 ათასი კვ.მ სახურავი მასალა (მოთუთიებული თუნუქი), რომელიც დაზიანებული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად უსასყიდლოდ გადაცა შპს „დაგს“. შპს „დაგმა“ მუნიციპალიტეტს უკან დაუბრუნა გამოუყენებელი 2.7 ათასი კვ.მ თუნუქი, ხოლო დარჩენილი 96.5 ათასი კვ.მ თუნუქის ხარჯვაზე უნდა წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გახარჯულია 90.9 ათასი კვ.მ და უნდა დაებრუნებინა 8.3 ათასი კვ.მ მასალა. ამდენად, შპს „დაგის“ მიერ არ არის დაბრუნებული გაუხარჯავი 5.6 ათასი კვ.მ თუნუქი. მიმწოდებელთან ისე მოხდა საბოლოო ანაგარისწორება, რომ მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია და ვერ მიიღო კუთვნილი 52.0 ათასი ლარის ღირებულების მასალა. მხოლოდ აუდიტის მიმდინარეობისას, აუდიტის ჯგუფის მიერ მიმწოდებლის დაუბრუნებელი მასალების გამოვლენის შემდგომ, მიმართა მუნიციპალიტეტმა შპს „დაგს“ და მოსთხოვა 5.0 ათასი კვ.მ თუნქის დაბრუნება. (გვ. 21)

❯ 2015 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა შპს „დაგი“. სამუშოების საზედამხედველო მომსახურების, მოცულობების და ხარისხის შესამოწმებლად, მუნიციპალიტეტმა დაიქირავა შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია“ და გადაუხადა 15.0 ათასი ლარი. ზედამხდველმა ორგანიზაციამ სათანადოდ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, კერძოდ, სწორად ვერ აღრიცხა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ზედამხედველების მიერ შედგენილ ინსპექტირების აქტებში დაფიქსირებული მონაცემები არ ედრება ექსპერტიზის მიერ დაფიქსირებულ შესაბამის მონაცემებებს. (გვ. 21)

❯ მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შეძენილი 556.9 ათასი ლარის ღირებულების 69.6 ათასი კვ.მ თუნუქი გადასცა მოსახლეობას, რომელთაც თავიანთი ძალებით უნდა მოეხდინათ სახლების დაზიანებული სახურავის გამოცვლა და გადახურვა. გადაცემული მასალის ხარჯვის მდგომარეობის შესწავლით გაირკვა, რომ დაზარალებული მოსახლეობის უმტესობას - 283 ოჯახს, არ გამოუყენებია გადაცემული 50.7 ათასი კვ.მ თუნუქი (72%) და სტიქიის შედეგები არ არის ლიკვიდირებული. მუნიციპალიტეტმა ვერ შექმნა და დანერგა მასალების გაცემის და ხარჯვის კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრას და შესაძლებელი იქნებოდა საბოლოო შედეგების მიღწევა. (გვ. 23)

❯ მუნიციპალიტეტმა 2016 წელს გამოაცხადა ტენდერი ქ.ყვარელში სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით - 748.2 ათასი ლარი. აღნიშნულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული, რომელმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა ყველაზე დაბალი ფასი - 598.6 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის მიერ ხარჯთაღრიცხვაში დაშვებული

ტექნიკური ხარვეზის გამო, ტენდრი შეწყდა. იმავე სამუშაოების შესყიდვის ხელმეორედ გამოცხადებულ ტენდერში პრეტენდენტისათვის მოთხოვნილი გამოცდილება 3 მლნ ლარიდან - 5 მლნ ლარამდე გაიზარდა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი რწმუნება იმასთან დაკავშირებით, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული 748.2 ათასი ლარის სამუშაოების შესრულებისთვის 5 მლნ ლარის გამოცდილების მოთხოვნა. განმეორებით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა მხოლოდ პირველ ტენდერში მონაწილე ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტმა, შპს „ყვარელმშენი 52-მა“. წინა ტენდერში მონაწილე დაბალი ფასის მქონე ორი პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებდა გამოცდილების გაზრდილ მოთხოვნებს და მათ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღიათ. პირველად გამოცხადებული ტენდერის ტექნიკური ხარვეზის მიზეზით ჩაშლისა და შემდგომში, არაგონივრულად გაზრდილი გამოცდილების მოთხოვნის შედეგად, მუნიციპალიტეტმა სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა განახორციელა 149.6 ათასი ლარის მეტი ღირებულებით. (გვ. 25)

⦁ 2016 წელს მუნიციპალიტეტსა და შპს „ყვარელმშენი 52-ს“ შორის სკვერის მოწყობის სამუშაოებზე დადებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და მოხდა სამუშაოების მიწოდების ვადის გადაწევა, პროექტით გათვალისწინებული სკვერის ტერიტორიის ნაწილის კორექტირების გამო. აღნიშნული არ უნდა გამხდარიყო ვადის გადაწევის საფუძველი, რადგან მუნიციპალიტეტმა ტენდერის გამოცხადებამდე 2 თვით ადრე დაარეგისტრირა სკვერის ტერიტორია და მისთვის ცნობილი იყო, რომ პროექტი საჭიროებდა კორექტირებას. გარდა ამისა, ვადის გადაწევის მიზეზად მოყვანილია ხეების მოჭრის ნებართვამდე სამუშაოების შეჩერება და უამინდობა. ხეების მოჭრის ნებართვა გაცემულია ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო უამინდობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, ვერც ერთი გარემოება ვერ ჩაითვლება ვადის გადაწევის ობიექტურ მიზეზად. მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების დასრულების ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხებოდა 44.9 ათასი ლარის პირგასამტეხლო. (გვ. 27)

⦁ 2014-2015 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტმა შპს „აკვედუკი 07-დან“ შეისყიდა სოფელ შილდაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის 480.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა 887 აბონენტის გამრიცხველიანებას. შესრულებულ სამუშაოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც მრიცხველის კარადების ნაწილი დეფორმირებული იყო. მიუხედავად ხარვეზებისა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა მრიცხველის კარადების ღირებულება, 20.3 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფისა და გამგეობის წარმომადგენლების მიერ სამუშაოების დათვალიერებით დადასტურდა კარადების დაზიანების ფაქტები. ხელშეკრულების მიხედვით, შპს „აკვედუკი 07-ს“ 5 წლის განმავლობაში ევალებოდა გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, მაგრამ მუნიციპალიტეტს ამ საკითხზე მიმწოდებლისთვის არ მიუმართავს. (გვ. 30)

⦁ 2015 წელს, შპს „ბელას“ მუნიციპალიტეტისათვის უნდა შეესრულებინა სასმელი წყლის ორი ჭაბურღილისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 180.0 ათასი ლარი. მიმწოდებელს შესაბამისი გარანტიის საფუძველზე ჩაერიცხა ავანსი - 42.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი გარანტიის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია იღებდა ვალდებულებას საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე, ვალდებულების შემცირების პროპორციულად. შპს „ბელამ“ შეასრულა მხოლოდ 86.4 ათასი ლარის სამუშაოები, საიდანაც ავანსად გადახდილი 42.0 ათასი ლარის გარდა, აუნაზღაურდა 66.5 ათასი ლარი. აღნიშნულის გამო, შპს „ბელას“ მუნიციპალიტეტში ერიცხება დებიტორული დავალიანება - 22.1 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია საავანსო გარანტია, არ მოუთხოვია გარანტორისაგან შესაბამისი თანხა და ვერ დაიბრუნა ავანსად გადახდილი თანხის ნაწილი - 22.1 ათასი ლარი. (გვ. 31)

❯ 2016 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტმა ილია ჭავჭავაძის ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის სამუშოების შემსრულებელს, ი/მ გელა რუსიაშვილს სამუშაოების დასრულების ვადა ისე გადაუწია, რომ არ არსებობდა ამის ობიექტური მიზეზი, რადგან ვადის გადაწევა მოხდა მესამე პირისაგან მასალის დროულად მიუწოდებლობის გამო. შედეგად, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მიმწოდებელს არ დაეკისრა 5.5 ათასი ლარის პირგასამტეხლო. (გვ. 32)

❯ 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში - მთისუბანში, გავაზსა და ჭიკაანში შეძენილია სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშოები, რომელიც მოიცავდა მოსახლეობის გამრიცხველიანებას. 360 ერთეული კარადისა და მრიცხველის შეძენასა და დამონტაჟებაზე გახარჯულია 36.1 ათასი ლარი. მიუხედავად გამრიცხველიანებისა, აღნიშნულ სოფლებში არ ხდება მოხმარებული წყლის გადასახადის ადმინისტრირება. (გვ. 32)

❯ 2015-2016 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული 45 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 799.4 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშოები. მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს, მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ ითხოვდა დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ. შედეგად, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურების ფაქტებს. (გვ. 34)

❯ ყვარლის მუნიციპალიტეტში არ არის შედგენილი 2016 წლიური ფინანსური ანგარიშგებები. მუნიციპალიტი არ ფლობს მონაცემებს 2015 წლამდე არსებული ბუღალტრული ნაშთების შესახებ, არ არის ნაწარმოები ე.წ. „მთავარი წიგნი“, ყველა შეძენილი ქონება აღრიცხულია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე. 2015 წლამდე არსებული ქონება აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და არ არის შეფასებული. (გვ. 35)

რეკომენდაციები:

❖ სასურველია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად და ეკონომიურად. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების მიღების ფორმა, მათი კატეგორია და გამასპინძლების ეტიკეტი, რომლის მიხედვით მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.

❖ ყვარლის მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ისეთი სტრატეგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება სტიქიის შედეგების ოპერატიული და სრული აღმოფხვრა. აგრეთვე შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული სტრატეგიის მიზნის მიღწევას და მოსახლეობა მიიღებს დადებით შედეგებს.

❖ ყვარლის მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეამცირებს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შესყიდვის რისკს. ამასთანავე, უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში უხარისხობის მიზეზით გამოწვეული ხარვეზების გამოვლენასა და გამოსწორებას.

❖ მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის და ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა, მუნიციპალიტეტმა შეასრულოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. აღნიშნულით დაიზოგება გამარტივებული შესყიდვისას ასანაზღაურებელი თანხები. შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

❖ ყვარლის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

შესავალი ნაწილი

აუდიტის საგანი და სახეობა

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში პროგრამების - „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) - ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცავდეს აუდიტის საგნის ყველა ელემენტს.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ყვარლის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის" პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ყვარლის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 15 296.1 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

ყვარლის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტი აერთიანებს 11 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 21 სოფელს. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1000 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 29.8 ათას კაცს[1]. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ყვარელი.

[1] www.reestri.gov.ge; www.geostat.ge.www.budgetmonitor.ge

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კანონმდებლობით მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

<u>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.</u> ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლების შემოსულობებმა 23196.0 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 23249.7 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

- 01 00 - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.
- 02 00 - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
- 03 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.
- 04 00 - განათლება.
- 05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი.
- 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

აუდიტის ფარგლებში შემოწმდა:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამის კოდი 01 00). 2015-2016 წლებში პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში შეადგენს 4118.1 ათასი ლარს, მთლიანი თანხის 17,7%-ს.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამის კოდი 03 00). 2015-2016 წლებში პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში შეადგენს 11178.0 ათასი ლარს, მთლიანი თანხის 48,1%-ს.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)[2] პროგრამაზე გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა აღმასრულებელი და

[2] აღნიშნული პროგრამა არ მოიცავს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის გამგეობის სამსახურის ხარჯებს, რომელიც 2015-2016 წლებში 160.1 ათას ლარს შეადგენს. ეს ხარჯები ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მიერ და ცალკე პროგრამული კოდით არის ბიუჯეტში წარმოდგენილი - „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 02 02).

წარმომადგენლობითი ორგანოები, საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენის ღირებულება და კახეთის მუნიციპალური განვითარების სააგენტო. აღნიშნულმა ხარჯმა 2015-2016 წლებში სულ 4118.1 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დამტკიცებულ ბიუჯეტებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული პროგრამისა და მასში შემავალი ქვეპროგრამების მოკლე აღწერა და მიზანი.

პროგრამის ფარგლებში 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გახარჯულია 2165.5 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 16,6% შეადგენს. 2016 წელს პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 1952.6 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 19,0%.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანხა ძირითადად დახარჯულია შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ გამგეობის, სამსახურების და ადმინისტრაციული ერთეულების შენახვა.
- ✓ საკრებულოს აპარატის შენახვა.
- ✓ კახეთის მუნიციპალური განვითარების სააგენტოს დაფინანსება.
- ✓ საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შეძენის ღირებულება.

პროგრამის (პროგრამული კოდი 01 00) მიხედვით თანხების ხარჯვა



ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში სულ დასაქმებული იყო 156 თანამშრომელი, რომელთაგან 13 - შტატგარეშე მოსამსახურეა. წლის განმავლობაში შტატით და შტატგარეშედ დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 1459.5 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია და დანამატი - 230.8 ათასი ლარი. 2016 წელს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 155 ერთეული, მათ შორის, 13 შტატგარეშე

თანამშრომელია, რომლებზეც ანაზღაურების სახით წლის განმავლობაში გაიცა 1487.4 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია და დანამატი 233.3 ათასი ლარი.

ცხრილი №1. „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ (პროგრამის კოდი 01 00) **(ათასი ლარი)**

დასახელება	2015	2016	სულ
ხარჯები	**1980.3**	**1913.8**	**3894.1**
შრომის ანაზღაურება	1369.7	1400.2	2769.9
საქონელი და მომსახურება	596.7	495.9	1092.6
სოციალური უზრუნველყოფა	5.6	6.5	12.1
სხვა ხარჯები	8.3	11.2	19.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	**185.2**	**38.8**	**224.0**
სულ:	**2165.5**	**1952.6**	**4118.1**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში - „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

ცხრილი N2. „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის ხარჯები[3] 2015-2016 წწ. (ათასი ლარი)

	2015	2016
მივლინებები	16.1	5.0
ოფისის ხარჯები	102.9	88.4
წარმომადგენლობითი ხარჯები	33.2	35.8
ტრანსპორტის, ტექნიკის, იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	141.4	170.9
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	213.2	294.7

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

„საქონელი და მომსახურებიდან“ გაწეული ხარჯები

წარმომადგენლობითი ხარჯები

კრიტერიუმი: წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს მიღებების, წვეულებებისა და ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, ოფიციალური სადილები და ა.შ.), საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენა/დამზადების,

[3] მონაცემებში არ შედის შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება.

სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის, აგრეთვე სასტუმროში მომსახურების ხარჯებს[4]. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული ხარჯების გაწევის აუცილებლობა უნდა იყოს დოკუმენტურად სათანადოდ დასაბუთებული.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შეადგინა 69.0 ათასი ლარი[5]. წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, დაფინანსებულია სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. კერძოდ: საზღვარგარეთიდან და სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრების გამასპინძლება, გადასაცემი საჩუქრები (სუვენირები, ალკოჰოლური სასმელები), მიღებების, ფურშეტების/წვეულებების მოწყობა, ოფიციალური სტუმრების გამასპინძლება კვების ობიექტებში და სხვ.

წარმომადგენლობითი ხარჯებიდან სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის მიერ გამოცებულია ბრძანებები. ხშირ შემთხვევაში არ არის აღნიშნული ჩასატარებული ღონოისძიების დასახელება, სტუმრობის მიზანი, სტუმარებისა და მასპიძლების ოდენობა და სხვა მონაცებები.

მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მიერ ამ მუხლიდან სტუმრების გამასპინძლებისათვის, სხვადასხვა რესტორნის მომსახურებაში 2015-2016 წლებში სულ გახარჯულია 59.4 ათასი ლარი, აქედან, 2015 წელს 44 შემთხვევში გაწეულია 30.8 ათასი ლარის ხარჯი, 2016 წელს 46 შემთხვევაში კი - 28.6 ათასი ლარის ხარჯი. ხარჯები გაწეულია თვეში საშუალოდ, 3-4 ჯერ.

რეკომენდაცია: სასურველია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევას რაციონალურად და ეკონომიურად. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების მიღების ფორმა, მათი კატეგორია და გამასპინძლების ეტიკეტი, რომლის მიხედვით მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.

შესყიდული და გამოუყენებელი საპროექტო მომსახურება

კრიტერიუმი: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მთავარი მიზანია, განისაზღვროს იმ ინფრასტრუქტურული პროექტების სავარაუდო ღირებულება, რომელთა წარმატებით განხორციელების შედეგად, მოსახლეობას დროულად და ხარისხიანად მიეწოდება მუნიციპალური სერვისები. იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო ორგანიზაცია შეისყიდის მხოლოდ საპროექტო მომსახურებას და შემდეგ არ დაგეგმავს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს პროექტის შესაბამისად, მაშინ აღნიშნული ხარჯი ვერ მოუტანს რაიმე სიკეთეს მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გაწეული ხარჯები აღრიცხული უნდა იყოს პროგრამულ მუხლში -

[4] „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N 672 ბრძანება.

[5] 2015 წელს - 33.2 ათასი ლარი, 2016 წელს -35.8 ათასი ლარი.

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 00).

გამოვლენილი გარემოება: ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა დაგეგმილი და განხორციელებულია „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამული მუხლიდან (პროგრამული კოდი 01 00).

2015 წელს შესყიდულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საავადმყოფოს შენობის კეთილმოწყობის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, ღირებულებით - 50.0 ათასი ლარი[6]. პროექტის მიხედვით, საავადმყოფოს რეაბილიტაციისათვის საჭირო იყო 4.1 მილიონი ლარი. აღნიშნული სამუშაოები არ დაწყებულა. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სამუშაოები ვერ შეისყიდეს, რადგან არ გააჩნდათ შესაბამისი ფინანსები. ამდენად, სამუშაოების შესრულების გარეშე შესყიდული 50.0 ათასი ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს არარაციონალურ ხარჯს.

საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის[7] მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სამართლებრივი აქტის სახეებია: ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დადგენილების სახით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების მიერ ბრძანების ან განკარგულების სახით.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით[8], ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ერთჯერადი გამოყენების და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა).

გამოვლენილი გარემოება: ყვარლის მუნიციპალიტეტში საწვავის ხარჯვა რეგულირდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - ბრძანების[9] საფუძველზე, რომლის მიხედვით, საწვავი გაიცემა წლის განმავლობაში, ყოველთვიურად. სამართლებრივი აქტების თანახმად, საწვავის ხარჯვის ლიმიტები განესაზღვრა საკრებულოსა

[6] მიმწოდებელი შპს „საპროექტო არქიტეტურა“, 2015 წლის 16 ოქტომბრის N189 ხელშეკრულება.

[7] მუხლი 61, პუნქტი 2 და პუნქტი 3.

[8] საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 2.

[9] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 იანვრის N6 და 3 ოქტომბრის N67 ბრძანებები; გამგებლის 2015 წლის 30 იანვრის N160 და 2016 წლის 9 თებერვლის N72 ბრძანებები.

და გამგეობის თანამშრომლებს, ბრძანების საფუძველზე საწვავი გაიცემა ყოველთვიურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული ბრძანება ადგენს საწვავის გაცემის მუდმივი და მრავალჯერადი გამოყენების წესს და თავისი შინაარსით წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დადგენილების სახით.

ამდენად, სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც 2015-2016 წლებში გაიხარჯა 280.3 ათასი ლარის საწვავი, თავისი შინაარსით არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საწვავი გაცემულია საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირებზე, ტერიტორიულ ორგანოებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებზე, სამსახურის და განყოფილების უფროსებზე, აგრეთვე თანამშრომლებზე, სულ 34 პირზე. 2015 წელს გაცემულია 139.5 ათასი ლარის, ხოლო 2016 წელს - 140.8 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი ლიმიტების გარეშეა გაცემულია 3.6 ათასი ლიტრის საწვავი, ღირებულებით 5.8 ათასი ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს, თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად და კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად, ესაჭიროება შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის შრომითი რესურსი. თანამშრომლები საჭიროა როგორც მუდმივი, ასევე არამუდმივი სამუშაოების შესასრულებლად.

მუნიციპალიტეტმა საშტატო ნუსხით ყოველწიურად უნდა განსაზღვროს მუდმივი ამოცანების შესასრულებლად საჭირო საჯარო მოხელეების რაოდენობა და თანამდებობები. 2015-2016 წლებში, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტს საშტატო ნუსხის შესაბამისად, მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად სამსახურში უნდა მიეღო საჯარო მოხელე შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, ხოლო არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, შეეძლო გარკვეული ვადით სამსახურში მიეღო შტატგარეშე მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად[10], შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და შრომითი გასამრჯელოს სახით, გაცემულია 177.8 ათასი ლარი, აქედან: 2015 წელს 17 მოსამსახურეზე 90.5 ათასი ლარი, 2016 წელს 16 მოსამსახურეზე - 82.3 ათასი ლარი.

[10] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მუხლი 8 (მოქმედებდა 2015-2016 წლებში).

მუნიციპალიტეტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით გამოვლინდა, რომ შტატგარეშე მოსამსახურეები ინიშნებიან 1-6 თვემდე ვადით და შემდეგ უგრძელდებათ ვადა. ხელშეკრულებები უმეტეს შემთხვევაში გაფორმებულია მთელი წლის განმავლობაში, საკრებულოსა და გამგეობის სპეციალისტის უფლება-მოვალეობების შესასრულებლად. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ შტატგარეშე მოსამსახურეები დასაქმებული იყვნენ ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

საკრებულოს წევრების ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ, ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა[11]. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. კერძოდ, საკრებულოს კომისიებში სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ამომრჩევალთან შესხვედრებისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხიმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები[12].

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით საანგარიშო პერიოდში დახარჯული თანხა, სულ შეადგენს 94.7 ათას ლარს, მათ შორის, 2015 წელს - 47.9 ათასი ლარი, 2016 წელს - 56.8 ათასი ლარი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს №30 დადგენილებით, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული აქვს ხარჯის ანაზღაურების წესი. დადგენილების მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მისი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ყოველთვიურად განესაზღვრათ 300 ლარი. აღნიშნული თანხა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 ივლისის №28 დადგენილებით გაიზარდა და შეადგინა 397 ლარი[13].

---

[11] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41, პუნქტი 1.

[12] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს N1321 ბრძანებით დამტკიცებული ,,ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

[13] ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N43 დადგენილებით გაუქმდა წინა დადგენილება, ხოლო გასაცემი თანხა იგივე დარჩა.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარჯის ანაზღაურება ხორციელდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, რომლის საფუძველია საკრებულოს წევრების მონაწილეობა განსაზღვრულ საქმიანობაში. საკრებულოს სხდომებსა და მის საქმიანობაში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს გაწეული დანახარჯების შესახებ. არ არის წარმოდგენილი ხარჯების გაწევის პირველადი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა ხარჯის სახე, რაოდენობა, თანხა და სხვა აუცულებელი მონაცემები. ამდენად, საკრებულოს სხდომებსა და მის საქმიანობაში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

კრიტერიუმი: საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, გამგებლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარეს შეეძლო თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა იგი, ამისათვის სჭირო იყო საკრებულოს თანხმობა[14]. საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარეს გამგებლის თანამდებობიდან განთავისუფლებისას უნდა ეხელმძღვანელათ აღნიშნული კანონით. შესაბამისი დასაბუთების გარეშე გამგებლის განთავისუფლებამ, შესაძლებელია გამოიწვიოს მუნიციპალიტეტის მხრიდან გაუთვალისწინებელი დამატებითი ხარჯის გაწევა.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წელს გამგეობის სხვა ხარჯებიდან ანაზღაურებულია მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის განთავისუფლების კომპესაციის თანხა - 7.2 ათასი ლარი.

2014 წლის 25 აპრილს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ იქნა განკარგულება- „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შესახებ“ და საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცა თანხმობა გამგებლის თანამდებობიდან გადაყენებაზე[15]. იმავე დღეს, საკრებულოს თავმჯდომარემ №40 ბრძანებით თანამდებობიდან გაათავისუფლა გამგებელი.

განთავისუფლებულმა გამგებელმა სასამართლოში გაასაჩივრა საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი. სასამართლომ გამგებლის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება უკანონოდ ცნო და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაავალა მოსარჩელე პირზე (ყოფილ გამგებელზე) იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, არა უმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. მუნიციპალიტეტმა განთავისუფლებულ პირს კომპენსაციის სახით 2015 წელს აუნაზღაურა 7.2 ათასი ლარი. ამდენად, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, გამგებლის თანამდებობიდან განთავისუფლებით, მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასწია დამატებითი ხარჯი.

---

[14] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 39, მოქმედებდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დასრულებამდე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართელოს კანონის მუხლი 99.

[15] საკრებულოს N21 განკარგულება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის მიერ, პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პროექტები. 2015-2016 წლების დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, აღნიშნულ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა სულ 11178.0 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული პროგრამიდან თანხები გახარჯულია შემდეგი მიმართულებებით:

ცხრილი №3. „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 00) **(ათასი ლარი)**

დასახელება	2015	2016	სულ
გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა - შენახვის ხარჯები	1333.8	983.4	2317.2
ბინათმშენებლობა	2317.1	238.0	2555.1
წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	600.0	614.0	1214.0
გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	250.0	210.4	460.4
სარწყავი სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის ღონისძიებები	83.7	65.0	148.7
ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	159.4	247.2	406.6
კეთილმოწყობის ღონისძიებები	456.1	1147.1	1603.2
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებული ღონისძიებები	572.2	566.9	1139.1
შპს „ყვარელი - დურუჯი - 2015“	36.4	34.4	70.8
აიპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“	626.4	636.5	1262.9
სულ:	***6435.1***	***4742.9***	***11178.0***

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტების მიხედვით, ქვეპროგრამები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01) - პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის გზების მოასფალტებას, დაზიანებული გზების ორმულ შეკეთებას, სიჩქარის შემზღუდველი ბორცვების მოწყობას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებების შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების ზრდა;
- გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებული მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02) - პროგრამა ითვალისწინებს წყლის სისტემების რეაბილიტაციას, გარე განათების ქსელის გაფართოებას, არსებული ქსელის მოვლა-შენახვას, მუნიციპალიტეტის დასუფთავებას, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციას, სანიაღვრე არხების მოწყობა-გასუფთავებას. წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“.

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03) - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“, რომელიც უზრუნველყოფს სკვერების, გაზონების და პარკების მოვლა_პატრონობას, ქ. ყვარლის ქუჩების დაგვას, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და ქალაქებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას, ქ. ყვარლის და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ქალაქის იერსახის გალამაზება;
- მოვლილი გამწვანებული სკვერები და გაზონები;
- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური შედეგები, რომლებიც კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში უნდა იქნეს გამოსახული. წარმოდგენილია მხოლოდ მოსალოდნელი საბოლოო შედეგები, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნეს პროგრამის მრავალწლიანი ფუნქციონირების მანძილზე. ასევე ქვეპროგრამების შედეგების შეფასების ინდიკატორები ვერ იძლევა შედეგის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად

აღწევს პროგრამა დასახულ მიზანს.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

ყვარლის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქია

მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ იქმნება შესაბამისი კომისია. კომისია შეისწავლის მოსახლობაზე მიყენებულ ზარალს და ადგენს მის სალიკვიდაციოდ საჭირო თანხების ოდენებას. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტი თანხებს გამოყოფს ბიუჯეტით განსაზღვული სარეზერვო ფონდიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც სარეზერვო ფონდი არ არის საკმარისი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტი დახმარებისათვის მიმართავს სახელწიფოს. საქართველოს მთავრობა შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას თანხების გამოყოფის შესახებ და მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი.

მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის ბრძანებით[16] შეიქმნა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია. ბრძანებით არ არის განსაზღვული კონკრეტულად რა ევალებოდა კომისიას, როგორ უნდა მოეხდინათ ზარალის დათვლა, სალიკვიდაციო ღონისძიებები და სხვ.

ყვარლის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 20 აგვისტოს მომხდარმა სტიქიამ - ძლიერმა სეტყვამ და ქარიშხალმა, 9 დასახლებულ პუნქტში დააზიანა როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ასევე საცხოვრებელი სახლების სახურავები. კომისიის მიერ შესწავლილ იქნა სტიიქიის შედეგები და 2015 წლის 24 აგვისტოს კომისიის სხდომის ოქმით დადგინდა, რომ ზიანი მიადგა 607 საცხოვრებელ ობიექტს. დეფექტური აქტების მიხედვით, ზარალის სალიკვიდაციოდ საჭირო სავარაუდო თანხამ 1400.0 ათასი ლარი შეადგინა. კომისიის მიერ 2015 წლის 18 სექტემბერს დამატებით შესწავლის შედეგად გამოვლინდა 315 საცხოვრებელი სახლი, რომელთაც ზარალის სალიკვიდაციოდ ესაჭიროებოდა 1130.0 ათასი ლარი. კომისიის დასკვნების საფუძველზე, ზარალის სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტის მიერ ორჯერ - 24 აგვისტოსა და 21 სექტემბერს, მთავრობისაგან მოთხოვნილია თანხა, სულ - 2530.0 ათასი ლარი[17]. მუნიციპალიტეტს 25 აგვისტოსა და 23 სექტემბერს გამოეყო სპეციალური ტრანსფერი, სულ 2530.0 ათასი ლარის[18] ოდენობით, საიდანაც მუნიციპალიტეტმა გახარჯა 2519.2 ათასი ლარი, მათ შორის, 2015 წელს - 2293.6 ათასი ლარი, 2016 წელს კი - 225.6 ათასი ლარი.

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტს შეუძლია შეიძინოს მასალები და მიმწოდებელს სამუშაოების შესრულება დაუკვეთოს ამ მასალებით, რომლის თანხა არ აისახება შესრულებულ სამუშოების ღირებულებაში. მიმწოდებელმა უფასოდ გადაცემული

[16] ბრძანება N332.

[17] გამგეობის 2015 წლის 24 აგვისტოს N675 და 21 სექტემბრის N751 წერილები.

[18] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 აგვისტოს N1761 განკარგულებით - 1400.0 ათასი ლარი და 23 სექტემბრის N2046 განკარგულებით - 1130.0 ათასი ლარი.

გაუხარჯავი, გამოუყენებელი მასალები უნდა დაუბრუნოს უკან მუნიციპალიტეს ან/და მისი ღირებულება გათვალისწინებული უნდა იქნეს მასთან საბოლოო ანგარისწორებასას. აღნიშნული პირობების ასახვა შესაძლებელია მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. მოქმედი კანენმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში შექმნილია ინსპექტირების ჯგუფი, რომელსაც ევალება ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი. გარდა ამისა, საფინანსო სამსახურის ფუნქციებში შედის კონტროლი მუნიციპალიტეტის ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე, ეკონომიკური მოვლენის შესახებ პირველადი დოკუმენტის დროულ და კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებაზე. მუნიციპალიტეტის მიერ ყველა მატერიალური ფასეულობა უნდა აღირიცხოს და მისი ჩამოწერა მოხდეს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

გამოვლენილი გარემოება: სტიქიისაგან მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე საჭირო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოყოფილი თანხებიდან, შპს „ნოვასთან“ გაფორმებული ხელშკრულებებით, 2015 წლის აგვისტოსა და სექტემბერში მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია 920.4 ათასი ლარის ღირებულების 99.2 ათასი კვ.მ სახურავი მასალა (მოთუთიებული ნაგლინი)[19]. აღნიშნული მასალა, სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესარულებლად გადაეცა შპს „დაგის“[20]. ხელშეკრულებების მიხედვით, სამუშაოების შერულებისას შპს „დაგი“ გამოიყენებდა მასზე უსასყიდლოდ გადაცემულ, გადასახურავ მასალას. ამ მატერიალური ფასეულობის მოცულობების დაზუსტება კი უნდა მომხდარიყო სამუშაოების დასრულების შემდგომ.

შპს „დაგმა“ სამუშაოები დაასრულა 2015 წლის ნოემბერში და მასთან შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტიდან მიღებული 99.2 ათასი კვ.მ სახურავი მასალიდან, შპს „დაგის“ მონაცემებით, მის მიერ საცხოვრებელი სახლის გასარემონტებლად გამოყენებულია 89.2 ათასი კვ.მ, მოსახლეობაზე გადაცემულია - 7.3 ათასი კვ.მ, ხოლო დარჩენილი - 2.7 ათასი კვ.მ მასალა დაუბრუნა მუნიციპალიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამუშაოების დასრულების შემდეგ გახარჯული მასალის ოდენობის დადგენას, მუნიციპალიტეტმა შპს „დაგთან“ 2016 წლის ივნისში საბოლოო ანგარიშსწორება ისე მოახდინა, რომ არ შეუსწავლია მასზე გადაცემული მასალების ხარჯვა და რეალურად უკან დასაბრუნებელი მასალის ოდენობა.

აღნიშნული მოაცემების დაზუსტებისა და მასალების ხარჯვის რეალობის დადგენის მიზნით, აუდიტის ჯგუფის მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით,

[19] 28 აგვისტოს N167 ხელშეკრულება თანხით - 528.6 ათასი ლარი, 11 საქტემბრის N176 ხელშეკრულება - 120.9 ათასი ლარი და 26 სექტემბრის N184 ხელშეკრულება - 270.9 ათასი ლარი.

[20] ხელშეკრულებები N179 და N185, ღირებულებით - 679.6 და 808.6 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 1 ნოემბერს.

ჩატარებულ იქნა დამატებითი აუდიტორული პროცედურები და გადამოწმებულ იქნა შპს „დაგის“ მიერ ნაჩვენები მასალების ხარჯვის მონაცემების სისწორე:

- დათვლილ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების მიხედვით შპს „დაგის“ მიერ გახარჯული მოთუთუებული თუნუქის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 84.7 ათასი კვ.მ.
- შპს „დაგის“ მიერ მოსახლეობაზე გადაცემულად ნაჩვენები 7.3 ათასი კვ.მ თუნუქის გადამოწმებით დადგინდა, რომ ერთსა და იმავე მოსახლეზე მასალები ნაჩვენები იყო როგორც სამუშაოს შესრულებაში (გადახურვაში), აგრეთვე მათზე გადაცემაში. 9 ასეთ შემთხვევაში ზედმეტადაა გახარჯულად ნაჩვენები 1.1 ათასი კვ.მ-ის თუნუქი. ამდენად, მოსახლეობაზე გაცემული მასალის ოდენობა რალურად შეადგენს 6.2 ათას კვ.მ თუნუქს.

შპს „დაგზე“ გადაცემული 99.2 კვ.მ თუნუქიდან, მუნიციპალიტეტს წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, უკან უნდა დაბრუნებოდა გამოუყენებელი 8.3 ათასი კვ.მ თუნუქი[21], ფაქტობრივად დაუბრუნდა - 2.7 ათასი კვ.მ. ამდენად, შპს „დაგის“ მუნიციპალიტეტისათვის არ დაუბრუნებია 5.6 ათასი კვ.მ გაუხარჯავი თუნუქი, ღირებულებით - 52.0 ათასი ლარი[22].

აუდიტის მიმდინარეობისას, აუდიტის ჯგუფის მიერ მიმწოდებლის დაუბრუნებელი მასალების გამოვლენის შემდგომ, ყვარლის მუნიციპალიტეტმა 2017 წლის 24 მარტსა და 15 მაისს შპს „დაგს“ თავდაპირველად მოსთხოვა 3.9 ათასი, ხოლო შემდგომ - 5.0 ათასი კვ.მ თუნქის დაბრუნება[23].

მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფისა და საფინანსო სამსახურის მიერ არ იყო დაწესებული კონტროლი შპს „დაგზე“ გადაცემული მასალების ხარჯვაზე. შედეგად, მიმწოდებელთან ისე მოხდა საბოლოო ანაგარისწორება, რომ მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია და ვერ მიიღო თავისი კუთნილი 52.0 ათასი ლარის ღირებულების მასალა.

კრიტერიუმი 2: მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია კონტროლი დააწესოს სახელშეკრულებო პირობების შესრულების პროცესზე და უზრუნველყოს მიღებული საქონლის/მომსახურების ან შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია, შემსყიდველს შეატყობინოს შესრულებული სამუშაოს ფაქტობრივი მდგომარეობა, რათა არ მოხდეს ისეთი სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, რომლებიც არ შესრულებულა ან არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების გაწევისათვის ყვარლის მუნიციპალიტეტმა შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექციასთან“ გააფორმა ორი ხელშეკრულება, ჯამში -

[21] (99177-84652-6225)=8300.

[22] შპს „დაგის“ მიერ დასაბრუნებელია (8300 -2694)=5606 ათასი კვ.მ X 9.28=52023 ლარი.

[23] მუნიციპალიტეტის 2017 წლის 24 მარტის N06/994 და 15 მაისის N06/1549 წერილები.

თანხით 15.0 ათასი ლარი[24]. მიმწოდებელი ვალდებული იყო უზრუნველეყო შპს „დაგის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება, მისი მოცულობების და ხარისხის შემოწმება.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძებების დასრულების შემდეგ, შპს „დაგის“ მიერ წარმოდგენილი სამუშოების შესრულების აქტები (ფორმა N2) და ზედამხედველის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტები (სადაც დაფიქსირებული იყო შპს „დაგის“ მიერ შესრულებული სამუშაოები და გახაჯული მასალების მოცულობები), ექსპერტიზაზე გადაეგზავნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ექსპერტიზით დადგინდა, რომ შპს „დაგის“ მიერ ნაჩვენები შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 1182.8 ათასი ლარის ნაცვლად, შეადგინა 1025.7 ათასი ლარი, ანუ 157.1 ათასი ლარით ნაკლები. ექსპერტიზის მიერ შემცირებულია შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) ნაჩვენები მოცულობები.

აუდიტის ჯგუფმა, აუდიტორული შერჩევის საფუძველზე[25] შეადარა 31 მოსახლესთან შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ების, ექსპერტიზისა და ზედამხეველობის (ინსპექტირების აქტები) მონაცემები. მხოლოდ 9 შემთხვევაში დაემთხვა ზედამხედველობის მიერ შედგენილ ინსპექტირების აქტის მონაცემები ექსპერტიზის მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს, დანარჩენ შემთხვევაში დაფიქსირდა განსხვავებული მონაცემები.

ყვარლის მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ზედამხეველობაზე დაიქირავა მიმწოდებელი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენა. ექსპერტიზით გამოვლინდა ისეთი სამუშაოები, რომელიც მიმწოდებელს, შპს „დაგის“, შესრულებული არ ჰქონდა და დადასტურებული იყო ზედამხედველის მიერ. ამდენად, შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექციამ“ სრულად და სათანდოდ ვერ შეასარულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მუნიციპალიტეტმა კი გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალიწინებული თანხა, 15.0 ათასი ლარი.

კრიტერიუმი 3: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტი ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამუშოების შესყიდვას. მუნიციპალიტეტმა ისე უნდა დაგეგმოს და განახორციელოს სალიკვიდაციო ღონისძიებები, ხარჯების გაწევის ყველა ეტაპზე დააწესოს კონტროლის ისეთ მექანიზმები, რომ უზრუნველყოფს სტიიქიის შედეგების დროულად და სრულად აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ისე წარმართოს პროცესები, რომ მიღწეულ იქნეს საბოლოო შედეგები.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2015 წლის სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, შპს „დაგთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1488.2 ათასი ლარის ნაცვლად, შეასრულა 1025.7 ათასი ლარის სამუშაო. მიღებული

[24] 2015 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულება N174.1, თანხით - 10.0 ათასი ლარი და 9 ოქტომბრის ხელშეკრულება N188.1, თანხით - 5.0 ათასი ლარი.

[25] შერჩეული იქნა ყოველ მე-60 მოსახლე ცხრილის მიხედვით, აგრეთვე ფორმა N2-სა და ექსპერტიზის დასკვნას შორის სხვაობების მქონე.

ეკონომიის ხარჯზე მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის შესაცვლელად შეიძინა გადასახური მასალა, მოთუთიებული ნაგლინი, რომელიც გადასცა მოსახლეობას. მოსახლებას თავიანთი ძალებით უნდა მოეხდინა დაზიანებული სახურავის გამოცვლა, გადახურვა. აღნიშნულის მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის დეკემბრის თვეში შპს „ნოვასგან“ შეძენილია 40.0 ათასი კვ.მ მოთუთიებული ნაგლინი, ღირებულებით - 320.0 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის ივლისის თვეში - 20.7 ათასი კვ.მ, ღირებულებით - 145.0 ათასი ლარი[26]. გარდა ამისა, შპს „დაგმა“ 2016 წლის ოქტომბერში მუნიციპალიტეტს დაუბრუნა გამოუყენებელი 2.7 ათასი კვ.მ სახურავი მასალა, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გადაეცა მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტის მიერ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებით შეძენილი გადასახური მასალის, მოთუთიებული ნაგნილის, მოსახლობაზე გაცემა მიმდინარეობდა 2015 წლის ბოლოდან 2017 წლის 5 იანვრამდე. 358 მოსახლეზე გაცემული იქნა 63.4 ათასი კვ.მ თუნუქი. გარდა ამისა, შპს „დაგის“ მიერ მუნიციპალიტეტიდან მიღებული მასალებიდან 54 მოსახლეზე გადაცემულია 6.2 ათასი კვ.მ თუნუქი. სულ 412 მოსახლეს გადაცა 69.6 ათასი კვ.მ თუნუქი.

2017 წლის 26 აპრილს აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, შერჩევით დაათვალიერა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები და შეისწავლა მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობაზე გაცემული სახურავი მასალის გამოყენების მდგომარეობა. ადგილზე დათვალიერების დროს 6 მოსახლის სახლზე კვლავ ეფარა ძველი აზბესტბეტონის შიფერი, ხოლო ეზოში დასაწყობებული ჰქონდა მოთუთიებული ნაგლინი.

სოფელ ჭიკაანის მოსახლეობაზე გაცემული სახურავის მასალა

[26] 2015 წლის 4 დეკემბრის №209 ხელშეკრულება; 2016 წლის 18 ივლისის N96 ხელშეკრულება.

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ შესწავლილ იქნა მოსახლეობაზე გადაცემული 69.6 ათასი კვ.მ თუნუქის გამოყენების მდგომარეობა. წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ 412 მოსახლიდან 266-ს არ გამოუყენებია მიღებული 47.8 ათასი კვ.მ თუნუქი და დასაწყობებული აქვს ადგილზე (მასლის 68,6%), ხოლო 17 მოსახლესთან, საერთოდ არ აღმოჩნდა მათზე გაცემული 2.9 ათასი კვ.მ თუნუქი (მასალის 4%).

მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში მოსახლეობას გადასცა 556.9 ათასი ლარის[27] ღირებულების 69.6 ათასი კვ.მ თუნუქი, საიდანაც გაცემული მასალების 72% არ არის გამოყენებული, ვერ ისარგებლა მოსახლეობამ და არც სტიქიის შედეგები იქნა ლიკვიდირებული. მუნიციპალიტემა ვერ შექმნა და დანერგა მასალების გაცემის და ხარჯვის კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრას და შესაძლებელი იქნებოდა საბოლოო შედეგების მიღწევა.

რეკომენდაცია: ყვარლის მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ისეთი სტრატეგია, რომლითაც შესაძლებელი იქნება სტიქიის შედეგების ოპერატიული და სრული აღმოფხვრა. აგრეთვე შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული სტრატეგიის მიზნის მიღწევას და მოსახლეობა მიიღებს დადებით შედეგებს.

შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტი შესყიდვის განხორციელებისას, სატენდერო დოკუმენტაციით მოითხოვს საჭირო ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი. სატენდერო მოთხოვნების მიზანია, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღოს იმ ხარისხისა და მოცულობის სამუშაოები, რომლებიც მას ჰქონდა დაგეგმილი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი, არადისკრიმინაციული, გამომდინარეობდეს მისი საჭიროებიდან და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უზრუნველყოს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით, პრეტენდენტის მიერ წარსადგენი ანალოგიური პროექტების ჯამური ოდენობა ზომიერ პროპორციაში უნდა იყოს განსახორციელებელი პროექტის სირთულესთან - შესყიდვის ობიექტის მოცულობასთან (სავარაუდო ღირებულებასთან) და იმ პერიოდის ხანგრძლივობასთან, რომლის განმავლობაშიც საჭიროა შესრულდეს განსაზღვრული პროექტი.

[27] (2.7+6.2)X9.28=91.9ათასი ლარი; სულ 320+145+91.9=556.9 ათასი ლარი.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წლის 18 თებერვალს ყვარლის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ქ. ყვარელში შინმოუსვლელთა სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით - 748.2 ათასი ლარი[28]. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა 3 მლნ ლარის სამშენებლო სამუშაოების გამოცდილება. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა და ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა ფასი: შპს „ინჟინერიმა“ - 598.6 ათასი ლარი, შპს „ქართლმა“ - 658.0 ათასი ლარი და შპს „ყვარელმშენი 52-მა“ - 730.0 ათასი ლარი. შპს „ინჟინერი“, როგორც ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი, სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადდა გამარჯვებულად და მოწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს, კომისიამ მოახდინა შპს „ინჟინერის“ დისკვალიფიკაცია იმ მიზეზით, რომ ხარჯთაღრიცხვაში განფასებული ატრაქციონების ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალი იყო საბაზრო ფასებთან შედარებით და ასევე გამარჯვებულ კომპანიას არ ჰქონდა სათანადო სამშენებლო გამოცდილება. კომისიის გადაწყვეტილება შპს „ინჟინერმა“ გაასაჩივრა დავების საბჭოში. დავების საბჭომ დააკმაყოფილა საჩივარი და კომისიამ გააუქმა მიღებული გადაწყვეტილება შპს „ინჟინრის“ დისკვალიფიკაციის შესახებ. მიუხედავად ამისა, შპს „ინჟინერთან“ ხელშეკრულება არ გაფორმდა, რადგან მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ტენდერი ხარჯთაღრიცხვაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტსა და ხარჯთაღიცხვაში არ იყო მითითებული ატრაქციონის (კარუსელის) შეძენა, ეწერა მხოლოდ მისი მონტაჟი.

2016 წლის 19 აპრილს მუნიციპალიტეტმა თავიდან გამოაცხადა აღნიშნული ტენდერი[29], იმავე სავარაუდო ღირებულებით. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, გამკაცრდა პრეტენდენტებზე გამოცდილების მოთხოვნა და ნაცვლად წინა ტენდერში არსებული 3 მლნ ლარისა, მოეთხოვათ 5 მლნ ლარის სამშენებლო-სარემონტო გამოცდილება, მათ შორის, არანაკლებ 500.0 ათასი ლარის წყლის სისტემების სამონტაჟო და 500.0 ათასი ლარის შენობის სრული მშენებლობის გამოცდილება. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი რწმუნება იმასთან დაკავშირებით, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული 748.2 ათასი ლარის სამუშაოების შესრულებისთვის 5 მლნ ლარის გამოცდილების მოთხოვნა. აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა წინა ტენდერში მონაწილე ორი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი. ტენდერში კონკურენციის გარეშე მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ყვარელმშენი 52-მა“, გამოცხადდა გამარჯვებულად და დაიდო ხელშეკრულება[30] 748.2 ათას ლარზე, რაც წინა ტენდერში მონაწილე შპს „ინჟინრის“ ფასზე 149.6 ათასი ლარით მეტია.

პირველად გამოცხადებული ტენდერის ტექნიკური ხარვეზის მიზეზით ჩაშლისა და შემდგომში არაგონივრულად გაზრდილი გამოცდილების მოთხოვნის შედეგად,

[28] SPA160005961.

[29] SPA160012236.

[30] ხელშეკრულება N71, 03.06.2016.

მუნიციპალიტეტმა სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა განახორციელა 149.6 ათასი ლარის მეტი ღირებულებით.

კრიტერიუმი 2: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაიცვას საკუთარი ინტერესები და მოახდინოს სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩაბარების უზრუნველყოფა. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება ხელშეკრულება, განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. კანონმდებლობის თანახმად, ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, კერძოდ, შესყიდვის ობიექტის წინასწარ დადგენილ ვადებში ჩაბარების მიზნით, დასაშვებია საჯარიმო სანქციების გამოყენება. შესაბამისად, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიმწოდებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, კერძოდ, სამუშაოების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წლის 19 აპრილს მუნიციპალიტეტის მიერ მეორედ გამოცხადებულ, შინმოუსვლელთა სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ტენდერში გაიმარჯვა შპს „ყვარელმშენი 52-მა“ და 3 ივნისს გაუფორმდა ხელშეკრულება 748.2 ათასს ლარზე. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 5 თვე (2016 წლის 3 ნოემბერი). 2016 წლის 1 ნოემბერს მუნიციპალიტეტსა და შპს „ყვარელმშენი 52-ს“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მიწოდების ვადამ გადაიწია 20 დეკემბრამდე. აღნიშნული ცვლილების მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ პროექტით გათვალისწინებული სკვერის ტერიტორიის ნაწილი არ წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკუთრებას და ნაგებობების ნაწილის მოწყობა უნდა მომხდარიყო სკვერის სხვა ტერიტორიაზე. აღნიშნული არ უნდა გამხდარიყო ვადის გადაწევის საფუძველი, რადგან მუნიციპალიტეტისათვის ტენდერის გამოცხადებამდე 2 თვით ადრე იყო ცნობილი პროექტით გათვალისწინებული სკვერის ტერიტორიის კორექტირების საჭიროების შესახებ, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2016 წლის 10 თებერვალს ყვარლის მუნიციპალიტეტმა საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა სკვერის ტერიტორია[31] და შესაბამისად, დროულად უნდა მოეხდინა პროექტის კორექტირება. გარდა აღნიშნულისა, ვადის გადაწევის მიზეზად დამატებით მოყვანილია ის გარემოება, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ რიგი სამუშაოები შეაჩერა ხეების მოჭრის ნებართვის აღებამდე და თან დაემთხვა უამინდობა. თუმცა აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების წერილობითი ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ ხეების მოჭრის ნებართვა გაცემულია ხელშეკრულების დადებამდე, 2016 წლის 30 მაისს, ხოლო უამინდობის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. გამომდინარე აქედან, სამუშაოს დასრულების ვადის გადაწევის ვერც ერთი მიზეზი ვერ ჩაითვლება ობიექტურ გარემოებად და ვერ იქნება გათვალისწინებული. შპს „ყვარელმშენი 52-მა“ გადაწეულ ვადაშიც ვერ შეძლო სამუშაოების დასრულება და მუნიციპალიტეტმა დააჯარიმა 7.5 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მიერ

[31] საკადასტრო კოდი 57.06.60.515

სამუშაოების დასრულების ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დამატებით დაერიცხებოდა 44.9 ათასი ლარის[32] პირგასამტეხლო.

კრიტერიუმი 3: მუნიციპალიტეტი ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. მან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი უნდა დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს (ინსპექტირების ჯგუფი), რომელთა ფუნქციაა შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ინსპექტირების ჯგუფს ევალება სამუშაოების ეტაპობრივი შემოწმება, ფარული და შუალედური შესრულებული სამუშაოების აქტებში წარმოგენილი ინფორმაციის შედარება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებთან.

ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშოების მნიშნელოვან ნაწილს ფარული სამუშაოები წარმოადგენს, რაზედაც უნდა შედგეს „ფარული სამუშაოს აქტები“. მასში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის შემოწმება მთლიანად დამოკიდებულია ინსპექტირების ჯგუფზე, რადგან არსებული კონტროლის მექანიზმებით ფარული სამუშაოების შემოწმება სამუშოების შესრულების სხვა ეტაპზე შეუძლებელია.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტსა და შპს „ყვარელმშენი 52-ს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში 1 ნოემბრის ცვლილების საფუძველზე მოხდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება. კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული საყრდენი კედლის სიგრძე შემცირდა 64 მ-ით და ხარჯთაღრიცხვას დაემატა კედელში არმატურის მოწყობის სამუშაოები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები ჩაბარებული აქვს 2016 წლის 6 ივლისს, პირველად პროექტში გათვალისწინებული მოცულობებით. თანხა ანაზღაურებულია სრულად, აღნიშნულ კედელში არმატურის მოწყობის სამუშაოები ჩაბარებულია 2017 წლის 5 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტით. შესაბამისად, დაუდგენლია როგორ მოახერხა მიმწოდებელმა უკვე მოწყობილ კედელზე არმატურის დამატება.

კედელში არმატურის მოწყობა განეკუთვნება ფარულ სამუშაოებს და მათი შესრულება უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი აქტებით. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ფარული სამუშაოების აქტები არ არის შედგენილი. გამომდინარე აქედან, არსებობს რისკი იმისა, რომ მიმწოდებლის მიერ საყრდენ კედელში არმატურის მოწყობის სამუშაოები ან არ არის შესრულებული, ან შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტები სათანადოდ არ არის გაფორმებული.

კრიტერიუმი 4: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესი დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია გამოასწოროს დაზიანება საკუთარი ხარჯებით.

[32] 6(კვირა)X(748.2ათასი ლარიX 1%)=44.9 ათასი ლარი.

გამოვლენილი გარემოება: შპს „ყვარელმშენი 52-მა“ შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები დაასრულა და ჩააბარა მუნიციპალიტეტს 2017 წლის 5 იანვარს. აუდიტის ჯგუფმა გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, 2017 წლის 26 აპრილს ადგილზე დაათვალიერა სკვერის რეაბილიტაციის შესრულებული სამუშოები და გამოვლინდა სკვერში არსებული კაფის შიდა კედლებისა და ღია აივნის იატაკის დაზიანებები. 2017 წლის 11 მაისის[33], აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხის გამოვლენის შემდგომ, მუნიციპალიტეტმა აღნიშნული დაზიანებების შესახებ აცნობა მიმწოდებელს და მოთხოვა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

ყვარელში შინმოუსვლელთა სკვერში არსებული კაფეს რეაბილიტაცია

..

ხელშეკრულებების შესრულება და კონტროლი

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლები იწყებენ პროექტების განხორციელებას. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ნებისმიერ დროს, რისთვისაც შექმნილია ინსპექტირების ჯგუფი. ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებს მიწოდების ვადების, სამუშაოს მოცულობებისა და ხარისხის კონტროლს.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინრეობის პროცესში დანერგილი კონტროლის მექანიზმები, ყველა შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სათანადო ხარისხისა და მოცულობის სამუშაოების მიღებას. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში გამოვლინდა, რომ არსებული კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს:

- ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაოების ჩაბარების ვადების დარღვევის შემთხვევათა გამოვლენას და შესაბამისად, მათზე რეაგირებას;
- სათანადო ხარისხის სამუშაოების მიღებას;

[33] წერილი N04/1535.

- საგარანტიო ვადაში დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების გამოვლენას და შემდგომ რეაგირებას;
- საგარანტიო თანხის მოთხოვნასა და მიღებას.

სასმელი წყლის რეაბილიტაცია სოფელ შილდაში

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესი დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მიზნით, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადას. აღნიშნულ პერიოდში შემსყიდველს შეუძლია მიმწოდებელს მოსთხოვოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება მისივე ხარჯებით.

გამოვლენილი გარემოება: 2014 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერის საფუძველზე ხელშეკრულება[34] გააფორმა შპს „აკვედუკი 07-თან“ სოფელ შილდაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 480.0 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებდა სამარაგე აუზის რეაბილიტაციას, მიმწოდებელი მაგისტრალისა და შიგა განაწილების ხაზების მონტაჟს, აგრეთვე 887 აბონენტის გამრიცხველიანებას და მრიცხველის კარადების მონტაჟს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2015 წლის თებერვალში შესრულებულ სამუშაოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ მრიცხველის კარადების ნაწილი დეფორმირებულია გრუნტის ზეწოლით. დასკვნის მიხედვით, ასევე გარკვეულ შემთხვევებში მრიცხველის კარადები დემონტირებულია მოსახლეობის მიერ, ვინაიდან სხვა სახის მრიცხველის კარადის მოწყობას საკუთარი ძალებით აპირებენ. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა შპს „აკვადუკი 07-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოები ჩაიბარა და სრულად აანაზღაურა თანხა, მათ შორის, დაზიანებული მრიცხველის კარადების ღირებულება - 20.3 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, შერჩევით დაათვალიერა სოფელ შილდაში შპს „აკვედუკი 07-ის“ მიერ შესრულებული სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოწყობილი მრიცხველები და მრიცხველის კარადები, დადასტურდა კარადების დაზიანების ფაქტები.

სოფელ შილდაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია

[34] SPA 140010528; 2014 წლის 28 მაისის ხელშეკრულება N87.

ხელშეკრულების მიხედვით[35] შპს „აკვადუკი 07“ ვალდებული იყო ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან 5 წლის ვადაში თავისი ხარჯებით აღმოეფხვრა გამოვლენილი ხარვეზები. ყვარლის მუნიციპალიტეტს გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად მიმწოდებლისთვის არც სამუშოების ჩაბარებისას და არც შემდგომ არ მიუმართავს.

რეკომენდაცია: ყვარლის მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეამცირებს უხარისხო შესრულებული სამუშაოების შესყიდვის რისკს. ამასთანავე, უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში უხარისხობის მიზეზით გამოწვეული ხარვეზების გამოვლენასა და გამოსწორებას.

გამოუყენებელი საავანსო გარანტია

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტს შეუძლია მიმწოდებლებზე განახორციელოს წინასწარი ანგარისწორება იმ პირობით, რომ მიმწოდებელი წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გარანტორისაგან მოითხოვოს გარანტიით გათვალისწინებული თანხების დაბრუნება.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 13 აგვისტოს ყვარლის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება[36] გააფორმა შპს „ბელასთან“, სოფელ გავაზში სასმელი წყლის 2 ცალი ჭაბურღილისა და ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 180.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა შპს „ბელას“, საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფის საფუძველზე, გადაურიცხა ავანსი 42.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი გარანტიის მიხედვით, შპს „ბელას“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია იღებდა ვალდებულებას საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე,

[35] ხელშეკრულების 7.2.2.პუნქტი.

[36] ხელშეკრულება N165.

ვალდებულების შემცირების პროპორციულად. შპს „ბელამ“ შეასრულა მხოლოდ 86.4 ათასი ლარის სამუშოები (მთლიანი სამუშაოების 48%), საიდანაც ავანსად გადახდილი 42.0 ათასი ლარის გარდა, აუნაზღაურდა 66.5 ათასი ლარი (ავანსის პროპორციულად). აღნიშნულის გამო, შპს „ბელას“ მუნიციპალიტეტში ერიცხება დებიტორული დავალიანება 22.1 ათასი ლარის ოდენობით[37].

სამუშაოების შეუსრულებლობისა და ვადის დარღვევის გამო, დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისათვის მუნიციპალიტეტმა 2016 წელს სარჩელი შეიტანა სასამართლოში, შპს „ბელას“ დაეკისრა პირგასამტგეხლოს გადახდა.

მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია საავანსო გარანტია, არ მოუთხოვია გარანტორისაგან შესაბამისი თანხა და ვერ დაიბრუნა ავანსად გადახდილი თანხის ნაწილი - 22.1 ათასი ლარი.

სამუშაოს მიწოდების ვადის დაუსაბუთებელი გადაწევა

კრიტერიუმი: მუნიციპლიტეტის მიერ სამუშაოების შესყიდვის დროს მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს მისი დამთავრების და მიღება-ჩაბარების ვადებს. მიწოდების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში გათვალიწინებულია საჯარიმო სანქციები. სამუშოს ვადის გადაწევა მუნიცპალიტეტმა შეიძლება მოახდინოს დასაბუთებული ობიექტური პირობების ან/და ფორსმაჟორის დროს, სხვა შემთხვევებში მიმწოდებელზე უნდა გაავრცელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წლის 13 სექტემბერს, ყვარლის მუნიციპალიტეტმა, ილიას გორაზე ილიას ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვაზე, ხელშეკრულება[38] გააფორმა ი/მ გელა რუსიაშვილთან. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 27.4 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. ვადის ამოწურვისას, მიმწოდებელმა აცნობა[39] გამგეობას სამუშაოების მიმდინარეობის შეფერხების შესახებ და ითხოვა სამუშაოების დამთავრების ვადის გაგრძელება ოცი დღით. სამუშაოების მიწოდების ვადის შემაფერხებელ გარემოებად დაასახელა მოსაწყობი დეკორატიული ბოძების მესამე პირისაგან დროულად მიუწოდებლობა. აღნიშნული გარემოება მუნიციპალიტეტმა ჩათვალა ობიექტურ მიზეზად და მიმწოდებელს სამუშაოების შესრულების ვადა გადაუწია. აღნიშნული მიზეზი ვერ ჩაითვლება ობიექტურად (ფორსმაჟორულ მდგომარეობად), რომელიც საკმარისი საფუძველი იქნებოდა მიწოდების ვადების გადაწევისათვის. ამდენად, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, მიმწოდებელს უნდა დაკისრებოდა 5.5 ათასი ლარის[40] პირგასამტეხლო.

---

[37] 42.0+66.6-84.6= 20.2 ათასი ლარი.

[38] ხელშეკრულება N132.

[39] წერილი N4377, 12/10/2016.

[40] 20* (27400*1%).

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალმომარეგება და გამრიცხველიანობაზე გაწეული ხარჯი

კანონმდებლობის მიხედვით, მომხმარებლისათვის წყლით მომარაგება განეკუთვნება ისეთ საქმიანობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას - ლიცენზიას. წყლის მომარაგების კომპანები მოხმარებული წყლის გადასახდის ამოღებას ახდენენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფების ფარგლებში. 2015-2016 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში მომხმარებლებზე წყლით მომარაგებას ახორციელებს ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას არ აქვს ამ საქმიანობისათვს შესაბამისი ლიცენზია. ეროვნული კომისიის მიერ არ არის დადგენილი ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის გადასახადის ზღრული ტარიფები. წყლის სიტემის ექსპლოატაციის და წყლის მიწოდების ხარჯების, აგრეთვე წყლის რესურსის რაციონულად ხარჯვის მისაღწევად, მუნიციპალიტეტი წყლის სისტემების მოწესრიგებასთან ერთად ახორციელებს მოსახლეობის გამრიცხველიანებას.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურისა და მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის პროგრამაში შემავალი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების ქვეპროგრამა მოიცავდა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობების მოწყობისა და არსებული წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას. სულ ამ ქვეპროგრამის მუხლით გაწეულია 1213.9 ათასი ლარის ხარჯი. პროგრამის ფარგლებში დაფინასებულია ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“, რომელიც უზრუნველყოფს ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-ექსპლოატაციას და სათავე ნაგებობების აღდგენის მომსახურებას.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგებად განისაზღვრა :

- მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ინტენსივობის გაუმჯობესება;
- მიწოდებული წყლის ხარისხის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორებია:

- ქსელში წყლის დანაკარგის შემცირება;
- მოსახლეობის კმაყოფილების ზრდა.

2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილია სხვადასხვა სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, რომელიც ითვალისწინებდა როგორც ცენტრალური მაგისტრალის, ასევე შიდა ქსელის მოწყობას და მოსახლეობის გამრიცხველიანებას:

- შპს „ზუდას“ მიერ 2014 წელს N165 ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებულია 45.0 ათასი ლარის სამუშაო, საიდანაც სოფელ მთისუბანში კარადებისა და მრიცხველების (71 ერთეული) დამონტაჟებაზე გახარჯულია 3.2 ათასი ლარი.

- შპს „ყვარელმშენი 52-ის“ მიერ 2015 წელს N166 ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებულია 107.0 ათასი ლარის სამუშაო, საიდანაც სოფელ მთისუბანში კარადებისა და მრიცხველების (39 ერთეული) დამონტაჟებაზე გახარჯულია 8.9 ათასი ლარი.
- ი/მ „დავით ავაზაშვილის“ მიერ 2015 წელს N127 ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებულია 47.9 ათასი ლარის სამუშაო, საიდანაც სოფელ გავაზში კარადებისა და მრიცხველების (83 ერთეული) დამონტაჟებაზე გახარჯულია 7.5 ათასი ლარი.
- ი/მ „გოჩა ავაზაშვილის“ მიერ 2015 წელს N74 ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებულია 22.9 ათასი ლარის სამუშაო, საიდანაც სოფელ ჭიკაანში კარადებისა და მრიცხველების (127 ერთეული) დამონტაჟებაზე გახარჯულია 11.0 ათასი ლარი.
- შპს „ზუდას“ მიერ 2016 წელს N100 ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებულია 33.9 ათასი ლარის სამუშაო, საიდანაც სოფელ გავაზში კარადებისა და მრიცხველების (40 ერთეული) დამონტაჟებაზე გახარჯულია 5.5 ათასი ლარი.

სულ 2015-2016 წლებში 360 ერთეული კარადისა და მრიცხველის დამონტაჟებაზე გაწეულია 36.1 ათასი ლარის ხარჯი. ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურების“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სოფლებში: მთისუბანში, გავაზსა და ჭიკაანში მოხმარებული წყლის გადასახადის ამოღება არ ხდება, მოსახლეობა იხდის მხოლოდ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას[41].

აუდიტის ჯგუფმა, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, შერჩევით დაათვალიერა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში წყლის კარადებისა და მრიცხველების მოწყობის შესრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ აღნიშნული მრიცხველები არ ფუნქციონირებს.

სოფელ გავაზში მოწყობილი წყლის კარადები და მრიცხველები

[41] ჭაბურღილებიდან წყლის საქაჩი ნასოსების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია.

ამდენად, მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში მოსახლეობის გამრიცხველიანებაზე გასწია 36.1 ათასი ლარის არარაციონალური ხარჯი, რადგან არ ხდება მოსახლეობიდან წყლის გადასახადის ადმინისტრირება.

გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად[42], გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს:

- მომწოდებელთან ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.
- სამუშაოების შესრულებისას იჯარით აღებულ მანქანა-მექანიზმების საიჯარო ხარჯს არ უნდა დაერიცხოს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები.
- ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს გეგმური დაგროვებისა და ზედნადები ხარჯები უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 45 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 799.4 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შესრულებული სამუშაოების აქტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტი მიმწოდებლისაგან არ ითხოვდა დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ და ანგარიშსწორებას ახორციელებდა წარმოდგენილი ფორმა N2-ების შესაბამისად. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში არ არის შემცირებული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა გამოყენებულ რესურსზე ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია მიმწოდებლების ფაქტობრივ დანახარჯებსა და მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები.

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის და ფაქტობრივი

[42] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება.

დანახარჯების დათვლის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა, მუნიციპალიტეტმა შეასრულოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. აღნიშნულით დაიზოგება გამარტივებული შესყიდვისას ასანაზღაურებელი თანხები. შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

1. ბუღალტრული ბალანსები და მისი დანართები

კრიტერიუმი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების[43] შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა უნდა მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც აისახება ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ანგარიშგებას მუნიციპალიტეტის გამგეობა წარუდგენს დაინტერესებულ პირებსა და ფინანსური ანგარიშგების სხვა შიდა და გარე მომხმარებლებს. შედეგად, მათ მიეწოდება ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასავლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შესახებ.

არსებული მდგომარეობა

ყვარლის მუნიციპალიტეტში ბუღალტერი აღრიცხვა ნაწარმოებია „სუპერფინის“ ბუღალტრულ პროგრამაში, შედგენილია მემორიალური ორდერები, ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის რეესტრები, მაგრამ მუნიციპალიტეტში არ ადგენენ პერიოდულ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ მუნიციპალიტეში არ არის 2015 წლამდე არსებული ბუღალტრული ნაშთები, რის გამოც არ არის ნაწარმოები „მთავარი წიგნი“. ყველა შეძენილი ქონება აღრიცხულია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე და არ ხდება მათზე ცვეთის დარიცხვა. მუნიციპალიტეტის ქონება აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და არ არის შეფასებული. 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის შედგენილი.

გავლენა

მუნიციპალიტეტის გამგეობის ზემდგომ ორგანოს და ფინანსური ანგარიშგების სხვა შიდა და გარე მომხმარებლებს, არ წარედგინება ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასავლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და სხვა ეკონომიკური ნაკადების შესახებ. აღნიშნულის შედეგად არ ხდება ზემდგომი ორგანოს მიერ

[43] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

წლიური ფინანსური შედეგების განხილვა, გაანალიზება და შესაბამისი შეფასება. სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ ეძლევა საშუალება გაეცნოს მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულ ფინანსურ შედეგებს, არ ხდება შიდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

2. **ძირითადი კაპიტალის მოხმარება**

კრიტერიუმი

საბიუჯეტო ორგანიზაციები ვალდებული არიან არაფინანსური აქტივების სასიცოცხლო ციკლის პერიოდში მათი საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მიზნით, ბალანსზე რიცხულ აქტივებს დაარიცხონ ცვეთის ხარჯი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით[44] განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

არსებული მდგომარეობა

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ აქტივებზე, მათი ექსპლოატაციაში მიღების პერიოდიდან არ არის დარიცხული ცვეთა, შესაბამისად, არაფინანსური აქტივების რეალური (ნარჩენი) ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია.

გავლენა

გრძელვადიან სააღრიცხვო პერიოდში, ექსპლოატაციაში მყოფი არაფინანსური აქტივები ფიზიკური ცვეთის გათვალისწინების გარეშე, ანუ მათი პირვანდელი ღირებულებით, არასწორად ასახავს აქტივების რეალურ ღირებულებას. გამომდინარე აღნიშნულიდან, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია მის საკუთრებაში არსებული აქტივების რეალური (საბალანსო) ღირებულების შესახებ. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშო წლის ბოლოს, ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთის ხარჯად აღიარება ხდება და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ანგარიშის დებეტსა და ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშის კრედიტში. აღნიშნული წესის გამოუყენებლობის გამო, ორგანიზაცია არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში გაწეულ არაფულად (ცვეთის) ხარჯს.

3. **ინვენტარიზაცია**

კრიტერიუმი

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალი N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების

[44] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

არსებული მდგომარეობა

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 31 დეკემბრის N573 ბრძანებით, მუნიციპალიტეტის სამსახურებში მატერიალური ქონების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად შეიქმნა კომისია 10 კაცის შემადგენლობით. ბრძანებაში არ არის აღნიშნული თუ რა დაევალა კომისიას, რა პერიოდში უნდა მოეხდინათ ინვენტარიზაცია.

2016 წლის 19 დეკემბერს კომისიის მიერ შედგენილია ინვენტარიზაციის აქტი, სადაც რაოდენობრივადაა დაფიქსირებული გამგეობის სამსახურებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში, ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურსა“ და ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურებაში“ არსებული სხვადასხვა ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა. ინვენტარიზაციაში არ მოხვდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, 2015-2016 წლებში შეძენილი), სატრასპორტო საშუალებები და სხვა ქონება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კომისიამ დაათვალიერა გამგეობის ის ქონება, რომელიც სახეზე იყო.

ამდენად, ყვარლის მუნიციპალიტეტში ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არ არის შედგენილი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ქონების ინვენტარიზაციის აქტი, რომელიც შეუდარდებოდა საბუღალტრო მონაცემებს და გამოყვანილი იქნებოდა ქონების მეტობა ან დანაკლისი.

გავლენა

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ატარებს ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი

იმის, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება, არ არის ნაწარმოები ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი ელემენტები: ბრუნვათა უწყისები, მთავარი წიგნი; დადგენილი წესით არ არის აღრიცხული მუნიციპალიტეტის ქონება; არ არის ჩატარებული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია; აღნიშნული გარემოებების გათვალიწინებით, მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე, რის გამოც გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით. მათ შორის, ხელმძღვანელობის პოლიტიკის დასაცავად, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, საიმედო ინფორმაციის დროულად მოსამზადებლად, ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრელად და სხვა. დასახული ამოცანების მისაღწევად შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე შესაბამისის რეაგირება. ის პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მონიტორინგი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

გამოვლენილი გარემოება: ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. სამსახურის მიზანია გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, რამდენად სრულყოფილად არის დანერგილი მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2015-2016 წლებში დამტკიცებული ანგარიშების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი:

- 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამასახურის მიერ აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 13 ა(ა)იპ-სა და 3 შპს-ში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ სამსახურსა და ერთ განყოფილებაში[45]. შიდა აუდიტის სამსახურს არ განუხორციელებია მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ყველა ხარჯის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობებისა და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების შეფასება, აგრეთვე შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.
- მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.
- დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სასმახურს ევალება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება და მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება არ არის მოწესრიგებული და ორგანიზაცია არ ადგენს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[46] დამტკიცებულ ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებს (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები), შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუფასებია ბუღალტრული ოპერაციების სისწორე და არც გამგეობისათვის მიუმართავს რეკომენდაციით ფინანსური ანგარიშგების მომზადების თაობაზე.

შედეგად, შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის რესურსების ეკონომიურად გამოყენებას, გამგეობის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებასა და მუნიციპალიტეტის მიერ დასახული მიზნების მიღწევას. მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებზე შიდა აუდიტის სამსახურს არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია: ყვარლის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

[45] სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური და საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება.

[46] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები

ყვარლის მუნიციპალიტეტში ჩატარებულია 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანება არ არის აღმოფხვრილი და აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა გაუარესებულია, კერძოდ:

- ყვარლის მუნიციპალიტეტი არ ადგენს პერიოდულ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. არ არის ნაწარმოები „მთავარი წიგნი“. ყველა შეძენილი ქონება აღრიცხულია დაუმთავრებელ ძირითადი აქტივების ანგარიშზე და არ ხდება მათზე ცვეთის დარიცხვა.
- მუნიციპალიტეტის მიერ არ არის ჩატარებული ქონების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად, ორგანიზაციას არ აქვს დაწესებული კონტროლი ძირითად საშუალებებსა და მატერიალურ მარაგებზე, არ ხდება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალობის დადგენა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი: გიორგი ჩახვაძე		ხელმოწერა	02.10.2017 თარიღი
წამყვანი აუდიტორი: ზურაბ ქათამაძე		ხელმოწერა	02.10.2017 თარიღი
აუდიტორი: თეა უდესიანი		ხელმოწერა	02.10.2017 თარიღი
აუდიტორი: ზურაბ ტუსკაძე		ხელმოწერა	02.10.2017 თარიღი
აუდიტორ-ასისტენტი: თამარ კუხიანიძე		ხელმოწერა	02.10.2017 თარიღი